## 5 ივლისს
## თბილისის იპოდრომზე

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი და ვ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბი აწყობენ

# დიდ საავიაციო-სპორტულ დღესასწაულს

პროგრამაში: ინდივიდუალური და ჯგუფური პილოტაჟები თვითმფრინავებზე, ვერტ-[ფრ]ენებზე, პლანერებზე, სხვადასხვა საინტერესო ნომრების შესრულება თვითმფრინავებით. თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების გაფრენა.
სპორტსმენების აკრობატული გამოსვლები თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებზე.
ხტომები პარაშუტით, აკრობატული ფიგურების შესრულება, პარაშუტის შეცვლა ჰაერში, ...ბრივი საპარაშუტო დესანტი და სხვ.
დღესასწაულში მონაწილეობენ: მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენები, საბჭოთა ...რის ჩემპიონები, სპორტის ოსტატები: შიხინა, სელივესტროვა, კაზაკოვი, სალდაძე, შნიტოვა, მარინინა, კრუტოვი, ბიკმურდინი, იაშინი, სევასტიანოვა, კლიმოვი და სხვები. თბილისის ავიასპორტკლუბის სპორტსმენები, სპორტის ოსტატები გამრეკელაშვილი, გოგიშვილი, პირველთანრიგოსანი გაჩეჩილაძე და სხვები.

დღესასწაულის დასაწყისში, დასასრულს და აგრეთვე მისი მსვლელობის დროს იპოდრომზე გამოვლენ სპორტის ტექნიკური სახეობების ოსტატები, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები.

დასაწყისი 12 საათზე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 128 (2491) ◉ ოთხშაბათი, 1 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

## ფედერაციის ახალი შემადგენლობა

როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სპორტული პრესისა და რადიოს საკავშირო ფედერაციის პლენუმმა.

სსრ კავშირის სპორტული პრესისა და რადიოს ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია **ვ. ნოვოსკოლცევი**, მოადგილეებად — **ი. ვანიატი, პ. სოგოლევი, შ. მელიქ-ფაშაევი**, პასუხისმგებელ მდივნად — **ა. დობროვი**, პრეზიდიუმის წევრებად — **ა. აბდულაევი, ვ. გავრილინი, ა. გოლუბევი, მ. კაკაბაძე, ნ. კისელიოვი, ი. მანდრე, მ. მერჟანოვი, ე. ნოვიკოვი, ა. ნოლე, გ. პტიცა, ი. სკუინში, ა. სტაროდუბი, ნ. ტარასოვი, ს. ტურებეკოვი, ვ. ხომუსკოვი, ე. ჯაგაროვი.**

# შ. ქველიაშვილის
## მსოფლიო რეკორდები



ჰელსინკში მოეწყო ფინეთისა და სსრ კავშირის უძლიერეს ტყვიით მსროლელთა საერთაშორისო მატჩი.

შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა მთელი რიგი მაღალი შედეგები. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან დგომელა სროლაში ე. იაროშმა (სსრ კავშირი) დააგროვა 377 ქულა და 1 ქულით გააუმჯობესა ოფიციალური მსოფლიო რეკორდი. უფრო მეტი წარმატება ხვდათ წილად სტუმრებს მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში. გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა კოლექტივმა აჩვენა 2.235 და 14 ქულით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. პირად პირველობაზე ყველას აჯობა ე. რასკაზოვმა. მისი შედეგი — 568 ქულა აგრეთვე ახალი მსოფლიო რეკორდია.

მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. კვლავ „დაიბადა" ახალი მსოფლიო რეკორდები. ნებისმიერ შაშხანიდან სროლაში საბჭოთა გუნდმა აჯობა ფინელ სპორტსმენებს და ამასთან ერთად დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. ორჯერ „გადააბიჯა" მსოფლიო რეკორდს ქართველმა სპორტსმენმა შ. ქველიაშვილმა. ჩოქელა მდგომარეობიდან სროლაში მან დააგროვა 392 ქულა, ხოლო სამივე სახეობაში აჩვენა 1.152. ორივე შედეგი მნიშვნელოვნად აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

• • •

სურათზე: შ. ქველიაშვილი.

## მოსკოვში, შეკრებაზე

როგორც ამ ცოტა ხნის [წ]ინ გახდა ცნობილი, თურქეთის ჭიდაობის ფედერაციამ თავისი ოლიმპიური გუნდის სამზადისს საიდუმლოების ფარდა ჩამოხსნა. [ე]ს ცხადი გახდა მას შემდეგ, [რ]აც ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად საბჭოთა კავშირის ნაკრები მიიწვია. მატჩის თარიღი ჯერ არ არის დადგენილი, მაგრამ ამ დღეებში ხანმოკლე შეკრებისათვის მოსკოვს გაემგზავრებიან ნაკრების წევრები: ზ. [შ]ეყრილაძე, ზ. ბერიაშვილი, [გ]. სალარაძე, ა. ცხოვრებოვი, [გ]. ლომიძე, თ. ხითარიშვილი და მწვრთნელი ვ. ბალავაძე.

## ... საათი...

◆ ბუქარესტი. 30 ივნისი. ქალაქ ბრაშოვში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ფრენბურთში ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მსოფლიო ჩემპიონებმა — იაპონურ კლუბ „ნიტიბოს" ფრენბურთელებმა, რომლებმაც არც ერთი შეხვედრა არ წააგეს. მეორე ადგილზე არიან რუმინელი სპორტსმენები. საბჭოთა კლუბების ნაკრები მესამე ადგილზე დარჩა.

◆ *რომი. 30 ივნისი. შაშში მსოფლიო პირველობის დამთავრებამდე დარჩა 3 ტური. წინ არიან საბჭოთა დიდოსტატები ვ. შჩოგოლევი, ი. კუპერმანი და სენეგალელი ბაბა სი. მაგრამ უკეთესი შანსები მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად საბჭოთა მოშაშეებს აქვთ. მე-13 ტურში კუპერმანმა მოუგო ფანელის. ბაბა სიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა სენ-ფორთან. შჩოგოლევი თავისუფალი იყო. მე-14 ტურში სამივე დიდოსტატმა თითო ქულა ჩაიწერა. ახლა შჩოგოლევს —11, კუპერმანს — 10, ხოლო ბაბა სის — 9 ქულა აქვთ (სამივეს 13 შესაძლებლიდან).*

*ტურნირის დღეებში აქ გაიმართა შაშის მსოფლიო ფედერაციის გენერალური ასამბლეა, რომელზედაც სსრ კავშირის შაშის ფედერაციის თავმჯდომარე გ. ტორჩინსკი არჩეულია შაშის მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად.*

◆ **ლიუნენი** (გფრ). აქ მოსკოვის „სპარტაკის" ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა თავისი უკანასკნელი ამხანაგური შეხვედრა ლიუნენის ჭაბუკთა ნაკრებთან. დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 8:1.

სულ გფრ-ში სპარტაკელებმა გამართეს 4 მატჩი, რომელთაგან 3 მოიგეს. 1 ფრედ დაამთავრეს, ბურთების შეფარდებით 21:1.

◆ **მოსკოვი.** ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში იაპონიის ფრენბურთელ ქალთა II ნაკრები შეხვდა საბჭოთა კავშირის ნაკრებს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:0.

◆ **სტოკჰოლმი.** საბჭოთა კავშირის მოტოციკლისტთა ნაკრები გუნდი შვეციაში გაემგზავრა. აქ ჩვენი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ მოტოკროსში მსოფლიო პირველობის IX ეტაპში. უკანასკნელი, X ეტაპი გაიმართება ფინეთში. ჩემპიონატს ჯერჯერობით შვედები ლიდერობენ.

## სსრკ—დანია

ტულაში სტუმრად იმყოფებიან დანიის უძლიერესი ველოსიპედისტები. სსრ კავშირისა და დანიის სპორტსმენები რამდენჯერმე შეხვედრიან ერთმანეთს. ოფიციალური შეხვედრების მიხედვით წინ არიან სტუმრები. ჩამოსულთა შორის არიან გასული წლის მსოფლიო პირველობის პრიზიორები, ამ ქვეყნის ჩემპიონები.

საბჭოთა გუნდი დანიელთა წინააღმდეგ გამოვა ასეთი შემადგენლობით: მსოფლიო ჩემპიონი ს. მოსკვინი, ლ. კოლუმბეტი, ს. ტერეშჩენკოვი, ა. ბელგარდი, სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონი ო. ფხაკაძე, ი. ბოდნიეკსი, ბ. ვასილიევი, ა. კოლიუშევი.

## კვლავ პროტესტის ნიშნად

როგორც ადრე ვიუწყებოდით, უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირზე საბჭოთა სპორტსმენმა ა. მეტრეველმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის რასისტული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ამ ქვეყნის სპორტსმენთან სეგალთან თამაშზე უარი განაცხადა.

რამდენიმე დღის შემდეგ ა. დმიტრიევასა და ს. ლიხაჩოვს უნდა ეთამაშათ სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლებთან ტ. ფიანსა და პ. უოკდენთან. საბჭოთა სპორტსმენები ამჯერადაც თავიანთი პრინციპული გადაწყვეტილების ერთგულნი დარჩნენ. შეხვედრა არ შედგა.

ჩვენი ჩოგბურთელების პროტესტმა ფართო რეზონანსი გამოიწვია როგორც თვით ინგლისში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ა. მეტრეველმა ასობით წერილი მიიღო მათგან, ვინც სოლიდარობას უცხადებს საბჭოთა სპორტსმენების სამართლიან გადაწყვეტილებას. წერილების ავტორები გმობენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის რასისტულ პოლიტიკას და უიმბლდონის მონაწილეებს მოუწოდებენ ბოიკოტი გამოუცხადონ ამ ქვეყნის სპორტსმენებს.





ტალინში გაიმართა აფროსანთა ბალტიის XVI რეგატა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის 300-მდე სპორტსმენი. სურათებზე: მარცხნივ—რომის ოლიმპიადის ჩემპიონი ტ. პინეგინი (მარცხნიდან მეორე) ესაუბრება გერმანელ სპორტსმენებს. მარჯვნივ — „დრაკონის" კლასის იახტები დისტანციაზე.

ფოტო პ. კუზნეცოვისა. (საკდესი).

## საქართველოს 1964 წლის ჩემპიონები სამბოში



ჩ. ქუცნიაშვილი · ი. იმერლიშვილი · ზ. მარიდაშვილი · შ. ჯავჯავაძე · ი. ქვლივიძე · ზ. ხაინდრავა · ა. ზურაბაული · ა. ქიბროწაშვილი

# SOS: [illegible] მერნები!

ავტობუსი ჩოხატაურს მიუახლოვდა თუ არა, ერთმა მოსკოველმა ტურისტმა თქვა:

—იცით, ჩოხატაურელები ალბათ აბანოშიც ცხენებით დადიან.

—აბანოშიო?! პირველად გვესმის.—გაუკვირდა ყველას.

—დიახ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ, მოსკოველებს, ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა. ეს იყო მოსკოვის სახელმწიფო იპოდრომზე. ღმერთო გამახსენე... ჰო, ცხენბურთი... ისინდი... მეორე დღეს—აღტაცება ცენტრალურ გაზეთებში: „ჩოხატაურელებმა მოხიბლეს მოსკოველები". „მოსკოველებს, ალბათ, ილია მურომეცისა და სამი გოლიათის ეპოქაშიც კი არ უნახავთ მსგავსი სანახაობა".

—რაო, ცხენები ჰყავთ ასეთი?—იკითხა ვიღაცამ.

— ცხენებიო?! ილია წინასწარმეტყველის ეტლშიც არ შეუბამთ მსგავსი მერნები!

* * *

შემოვიარეთ ჩოხატაური სიგრძესიგანეზე, მაგრამ ვერსად წავაწყდით მერნებს. ბოლოს ერთი ბერიკაცი დავიმარტოხელეთ ხუფსის ნაპირზე. იგი მუცელგამობერილ ცხენს მოაჭირითებდა.

—მერნებიო?!—თითქმის ყვირილით თქვა ბერიკაცმა,—მაგას ნუ მეტყვით, ბიძიკო და თუნდაც ცხენის კვერცხზე დამიწყეთ ლაპარაკი... თუმცა წადით, ყველაფერს რაიონის ნაკრები გუნდის თავლაში გეტყვიან...

... რაიონის ნაკრები გუნდის თავლაში ერთი ცხენი დაგვიხვდა, გულით ავადმყოფი „ბახმარო", რომელსაც ვეტექიმი გლუკოზისა და კოფეინის ნემსებს უკეთებდა. და თქვა „ბახმარომ" შემდეგი:

* * *

„მე ვარ შვილი სახელგანთქმული იაბოსი. ჩემი სახელი გვარტომობის მიხედვით „ცხენი № პირველია", მე ვარ „ცხენი № პირველი" გვარტომობის მიხედვით და „ბახმარო" სპორტული თვალსაზრისით. ასე იმიტომ მიწოდებენ, რომ საქართველოში ჩემი ვერც ერთი თვისტომი ვერ იღებდა იმ სიმაღლეს, რომელსაც მე ავაზასავით გადავევლებოდი ხოლმე. მაგრამ ეს იყო ადრე, ჩემს ახალგაზრდობაში. მაშინ არა მარტო საქართველოში, საბჭოთა კავშირშიც გაისმოდა ჩოხატაურელი ცხენოსნის სახელი.

### ცხენის მოსაწყენი ისტორია

ეს ჩვენ ვიყავით თბილისის იპოდრომის მშვენება და სიამაყე, ჩვენ გვაჯილდოვებდნენ თასებით, ოქროს საათებით, აღტაცებული შეძახილებით; ეს ჩვენ ვიყავით საქართველოს უცვლელი ჩემპიონები ცხენბურთში და ვინ გაიხსენებს რამდენჯერ კლასიკურ სახეობებშიც პირველნი მივსულვართ ფინიშთან.

უჰ! რა დღეები იყო ის დღეები!

ახლა?! მე წმინდა სისხლის ცხენი ვარ და ჩემი დამახასიათებელი თვისება თავმდაბლობაა. მაგრამ ახლა ნურას უკაცრავად, არ შემიძლია პირში ლაგამი ამოვიდო. დეე, სპორტის ყველა მოყვარულმა გაიგოს, რა დღეში ჩაგვაგდო ზოგიერთმა ამხანაგმა!..

ადრე ჩოხატაურის ნაკრებში 25 ცხენი ვიყავით. ჩვენი „რეზიდენცია" მოთავსებული იყო რაიონის ერთი კოლმეურნეობის თავლაში, რომელსაც სხვა დანარჩენი არტელები უნაზღაურებდნენ გუნდის შენახვაზე გაწეულ ხარჯებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უარი ეთქვას ქერზე, თივაზე, უნაგირზე ან ღამეული გუშაგის შენახვაზე. ჩვენც ძალ-ღონეს არ ვზოგავდით და პირნათლად ვემსახურებოდით ქართული სპორტის ღირსებას.

მაგრამ თურმე ყველაფერი ცვალებადია ქვეყანაზე. ჩვენ დავბერდით, დავჩაჩანაკდით. ზოგმა კოლეგამ ადრე მოიხსნა უნაგირი, ზოგმა—უფრო გვიან; ერთი რომ „დასასვენებლად" გაგზავნეს, მეორეს საჭაპანო ტრანსპორტის უღელში შეაყოფინეს თავი. დავრჩით 14 სპორტსმენი, რომელთაგან, რა დასამალია, მხოლოდ მე და „ელექსირი" ვართ წმინდა სისხლის ცხენები.

ეს ბუნებრივი ამბავიაო, იტყვით თქვენ: ცხენები მიდიან, კვიცები მოდიან... მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენ, ძველი სპორტსმენები რომ მივდივართ, კადრები აღარ მოდიან გუნდის შესავსებად.

შარშან, როცა ჩვენი რაიონი მახარაძის რაიონთან იყო შეერთებული, ჩვენმა მწვრთნელმა დიმიტრი ჩხიკვაძემ და ჩოხატაურის სპორტკავშირის დღევანდელმა თავმჯდომარემ დორმიდონ ჩხიკვაძემ მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-საწარმოო სამმართველოს უფროსს ვ. ჯაყელს მოახსენეს ჩვენი სავალალო ამბავი: თუ ცხენებს არ შევიძენთ, ქართული ცხენოსნობა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდებაო.

სიხარულისაგან ცას ვეწიე, გავიფიქრე, ახლა მაინც დაგვადგება მეთქი საშველი. მაგრამ, როგორც ჩანს, გულუბრიყვილობაც ყოფილა ჩემი დამახასიათებელი თვისება...

და ვცხოვრობთ ახლა „პარტიზანული წესით". ბევრმა ჩვენზე ხელი აიღო, ბევრიც, ალბათ, მალე დაგვანებებს თავს. მაგრამ დაილოცოს ისევ ჩოხატაურელი მხედრების მარჯვენა, აქაური მესვეურების მონდომება. მათ ფიცი დადეს, სანამ ცოცხალი მანამდე შეგვინარჩუნონ, სანამ ზემდგომ ინსტანციებში არ იტყვიან: „გადავარჩინოთ ქართული ცხენოსნური სპორტი".

ბ. კააბაძე

(ჩვენი სპეც. კორ.)

ჩოხატაურის რაიონი

## კატერები მიაპობდნენ ტალღებს

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურმა კომიტეტმა თბილისის ზღვაზე პირველად ჩაატარა საქართველოს პირველობა სხვადასხვა კლასის კატერებით. მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთისა და თბილისის გუნდები. სამწუხაროდ, ვერც აღნიშნულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს სრული გუნდების გამოყვანა. მაგალითად, აფხაზეთს გუნდები არ გამოუყვანია „გა-250" და „გვ-350"-ის კლასში, აჭარას — „კ-02"-ში, თბილისს — „გა-250", „გვ-350" და „კ-02"-ში. პროგრამაში იყო 3-3 რბოლა 10 კილომეტრზე. დაბალი იყო შედეგები განსაკუთრებით „სი-175" და „სა-250" კლასში. აქ ერთადერთი ვ. ცატუროვი (აფხაზეთი) იყო, რომელიც „ჩაეტია" საგარანტიო დროში (ისიც მხოლოდ ერთ რბოლაში, სადაც 10-კილომეტრიან ტრასაზე საათში 42.205 კმ-ს სისწრაფის განვითარება შეძლო).

„მა-250" კლასის ნავებით შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა კ. ზავადსკიმ (აჭარა). „გვ-350" ნავებით რბოლა მოიგო ა. მინასიანმა (აჭარა)—22.33,0. აჭარის გუნდს დარჩა გამარჯვება საერთო ჩათვლაშიც.

# მათი ჩემპიონატები

## ცეცხლის ხაზზე — უძლიერესი

რესპუბლიკის დედაქალაქში გა[...] მართა პირად-გუნდური პირველო[...]ბა ტყვიით სროლაში. I ჯგუფ[...] გამოდიოდნენ თბილისი, ქუთაის[ი], აჭარა და აფხაზეთი, II ჯგუფში— რუსთავი, გორი, ჭიათურა (არ იყვ[...]ნენ ფოთისა და სამხრეთ ოსეთი[ს] წარმომადგენლები). გუნდურ ჩათ[ვ]ლაში გაიმარჯვეს თბილისისა და რუსთავის კოლექტივებმა.

ვაჟთა შორის ცალკეულ ვარჯი[...]შებში გამარჯვებულებმა აჩვენ[ეს] პირველი თანრიგისა და უფრო მ[...]ღალი შედეგები. ვ. კრასნოპოლ[...]სკი უძლიერესი იყო სამ ვარ[ჯ]იშში — არმიული შაშხანიდან სტანდარტზე (3×20) სროლაში — 521 ქულა, ნებისმიერი შაშხანიდან სტანდარტზე (3×40) სროლაში — 547 ქულა და მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლელა მდგომარეობიდან 60 გასროლაში — 584 ქულა.

„გაქცეულ ირემზე" ტურნირი მოიგო გ. ბოსტოღანაშვილმა. მან 50 ერთმაგი გასროლით შეძლო 21[...] ქულის, ხოლო 25 ორმაგი გასროლით — 200 ქულის მოგროვება. კომპლექსში 414 ქულა აჩვენა და 4 ქულით გადააჭარბა ოსტატის ნორმატივს.

ქალთა შორის მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში ორი პირველი ადგილი დაისაკუთრა თბილისელმა ვ. ოვსეენკომ (ორივეჯერ პირველი თანრიგის მაჩვენებლით).

ო. ივდოშვილი

## ჭაბუკთა რეკორდები

თბილისში ჩატარდა საზოგადოების პირველი ჩემპიონატი ტყვიით სროლაში ჭაბუკთა შორის. სპორტსმენები გამოიყვანეს მხოლოდ თბილისმა და ქუთაისმა. ტურნირს თავი აარიდეს აჭარამ და აფხაზეთმა. ყველაზე კარგად მომზადებული აღმოჩნდა თბილისელი მ. ჟამურაშვილი. მან სამი პირველი ადგილი მოიპოვა — მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან მრგვალ სამიზნეებზე (აჩვენა 571 ქულა და გააუმჯობესა საზოგადოების ჭაბუკთა რეკორდი), მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე (30+30) და 5 სილუეტზე (60) სროლაში. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სტანდარტზე სროლაში (3×20) უძლიერესი იყო ქუთაისელი მ. მიქიაშვილი, რომელმაც 550 ქულა მოაგროვა. ეს საზოგადოების ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური რეკორდია.



სურათზე: თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ნაგებობა — „განთიადის" საცურაო აუზი.

ფოტო ო. ივდოშვილისა.

# ენთუზიასტი

ცნება „საზოგადოებრივი მწვრთნელი" კარგა ხანია დამკვიდრდა ჩვენს ფიზკულტურულ მოძრაობაში. ასეთი მწვრთნელი საზოგადოებრივ საქმეს პირად ინტერესებზე მაღლა აყენებს, ცოდნასა და ენერგიას არ იშურებს ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდისთვის. იგი უხელფასოდ იტვირთავს თავს და სიყვარულით ემსახურება კეთილშობილურ საქმეს. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის თელავის მე-4 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი გიორგი ელიოზიშვილი, რომელსაც რაიონში ყველა იცნობს, როგორც კარგ პედაგოგსა და მშობელს. მას არ უყვარს, როცა ვინმე აქებს, მაგრამ არ შეგვიძლია არ მოგითხროთ მის საქმიანობაზე.

თელავში ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ჭადრაკის მოყვარულნი, მაგრამ კახეთის ამ ვეება ქალაქში არასოდეს არ ყოფილა და არც დღეს არის საჭადრაკო კლუბი. და სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინათ გ. ელიოზიშვილმა იკისრა საზოგადოებრივ საწყისებზე საჭადრაკო წრის ხელმძღვანელობა. მწვრთნელს საჭადრაკო ლიტერატურა და ინვენტარი აკლდა, მაგრამ სიყვარულმა და სიბეჯითემ თავისი გაიტანეს. ბავშვები გატაცებით ეუფლებოდნენ ჭადრაკის საიდუმლოებას. წლების მანძილზე ენთუზიასტმა მწვრთნელმა მრავალი ნიჭიერი მოჭადრაკე გამოავლინა და აღზარდა, რომელთა სახელები ცნობილია ჩვენს რესპუბლიკაში.

აი, ზოგიერთი მათგანი: თუ დღეს ოთარ ელიოზიშვილი ოსტატობის კანდიდატია, ეს მისი უფროსი ძმის, გიორგის დამსახურებაცაა. მან ასწავლა და შეაყვარა ოთარს ჭადრაკი.

ახალგაზრდა, მზარდი პირველთანრიგოსანი თამარ ხუგაშვილი სკოლაში კალათბურთით იყო გატაცებული. გიორგის დაკვირვებულმა თვალმა ნორჩ სპორტსმენში მოჭადრაკისთვის საჭირო სიდინჯე და სიდარბაისლე ამოიკითხა და სამეცადინოდ მიიწვია. სულ მალე გოგონა საჭადრაკო ასპარეზზე გამოვიდა და მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა. შემდეგ საქართველოს ქალთა II საერთაშორისო ტურნირშიც ითამაშა.

პირველთანრიგოსანი არჩილ მეგრელიშვილი დღეს თვითონაა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტის მწვრთნელი, ხოლო ა. კირვალიძე აფხაზეთისა და „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონია.

საზოგადოებრივმა მწვრთნელმა ერთი ოსტატობის კანდიდატი, შვიდი პირველი, მრავალი მეორე და მესამე თანრიგოსანი მოჭადრაკე შეძინა ჩვენს რესპუბლიკას.

დღესაც გიორგი ელიოზიშვილი დაუღალავად, მონდომებით განაგრძობს მოჭადრაკეთა აღზრდას საზოგადოებრივ საწყისებზე. და ეჭვი არ არის, თელავში კვლავ გაიზრდებიან კარგი მოჭადრაკეები.

გ. ჩიკვაიძე

თელავი.

### ჩვენი საზოგადოებრივი მწვრთნელები

# ჩემპიონატის კალენდარი

**სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში**
**„ა“ კლასი**

**ივლისი**

1. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).
2. ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი), „ზენიტი“ — „სპარტაკი“, „დინამო“ (მინსკი) — „ვოლგა“, „დინამო“ (კიევი) — „შახტიორი“, „შინიკი“ — „კრ. სოვეტოვი“, „კაირატი“ — სკა (როსტოვი), „მოლდოვა“ — „ტორპედო“ (ქუთაისი).
6. „სპარტაკი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „ზენიტი“ — ცსკა, „შინიკი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ნეფტიანიკი“ — „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მინსკი) — „კაირატი“, „დინამო“ (კიევი) — „მოლდოვა“, „ვოლგა“ — სკა (როსტოვი), „შახტიორი“ — „კრ. სოვეტოვი“.
10. „სპარტაკი“ — „შახტიორი“, „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი), „კრ. სოვეტოვი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — სკა (როსტოვი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნეფტიანიკი“, „შინიკი“ — „მოლდოვა“.
11. ცსკა— „დინამო“ (კიევი).
14. „სპარტაკი“ — „მოლდოვა“.
15. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „ვოლგა“ — ცსკა, „შინიკი“ — „ზენიტი“, „ნეფტიანიკი“ — სკა (როსტოვი), „კაირატი“ — „შახტიორი“, „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი).
16. „დინამო“ (მოსკოვი) — „კრ. სოვეტოვი“.
19. ცსკა — „შინიკი“.
20. „სპარტაკი“ — „დინამო“ (მინსკი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მოსკოვი), „ზენიტი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი)—„კაირატი“, „ვოლგა“ — „კრ. სოვეტოვი“, „შახტიორი“ — სკა (როსტოვი).
24. ცსკა — „მოლდოვა“.
25. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „ზენიტი“ — „ვოლგა“, სკა (როსტოვი) — „დინამო“ (კიევი), „შინიკი“ (იაროსლავლი) — „კაირატი“, „ნეფტიანიკი“ — „შახტიორი“.

**სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში**

**„ბ“ კლასი**

**გათამაშების ცხრილი**
**მეორე ჯგუფი, II ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სკა (ოდესა) | 14 | 8 | 5 | 1 | 18—7 | =+11 | 21 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 13 | 6 | 4 | 3 | 20—11 | =+9 | 16 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 14 | 7 | 2 | 5 | 14—11 | =+3 | 16 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 14 | 5 | 5 | 4 | 15—10 | =+5 | 15 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 14 | 4 | 7 | 3 | 11—8 | =+3 | 15 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 13 | 6 | 3 | 4 | 19—17 | =+2 | 15 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 14 | 4 | 7 | 3 | 13—11 | =+2 | 15 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 14 | 5 | 5 | 4 | 15—19 | =—4 | 15 |
| „დინამო“ (ტალინი) | 14 | 3 | 6 | 5 | 13—14 | =—1 | 12 |
| „არარატი“ (ერევანი) | 14 | 3 | 6 | 5 | 9—11 | =—2 | 12 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 14 | 4 | 4 | 6 | 12—15 | =—3 | 12 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 15 | 4 | 4 | 7 | 16—24 | =—8 | 12 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 14 | 4 | 3 | 7 | 12—18 | =—6 | 11 |
| „სპარტაკი“ (გომელი) | 15 | 2 | 5 | 8 | 6—17 | =—11 | 9 |

# ითამაშეთ „მცირე ფეხბურთი“

დადგა ზაფხული — მოსწავლეთა არდადეგების პერიოდი. ბავშვების უმრავლესობა მიაშურებს აგარაკს, სადაც ხალისით დაისვენებს, მოემზადება მომავალი სასწავლო წლისათვის.

სწორედ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისს, სექტემბერში, განზრახულია ჩატარდეს ქ. თბილისის საშუალო სკოლების პირველობა, ამიტომ ნორჩმა ფეხბურთელებმა ზაფხულში უნდა აწარმოონ მზადება ამ საინტერესო შეჯიბრებისათვის, რათა დაიცვან თავიანთი მშობლიური სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის ღირსება.

ამ სამზადისის ნაყოფიერად ჩატარება დამოკიდებულია თვით ბავშვებზე, თუ რამდენად ორგანიზებულად, ენერგიულად მოაწყობენ ისინი სათამაშო მინდვრებს და შექმნიან გუნდებს, რამდენად სისტემატური და ნაყოფიერი ხასიათი ექნება მათს ვარჯიშს.

ცნობილია, რომ სააგარაკო ადგილებზე ჩვეულებრივ არაა საკმარისი ვაკე ადგილი ნორმალური ზომის სათამაშო მინდვრების მოსაწყობად. და ეს არცაა აუცილებელი, ვინაიდან არსებობს ე. წ. „მცირე ფეხბურთი“, რომელიც არანაკლებ გაიტაცებს ნორჩ ფეხბურთელებს და მისცემს მათ მომზადების საშუალებას.

პიონერულ ბანაკებში თუ უბრალოდ, დამსვენებელ ბავშვთა შორის უნდა ჩამოყალიბდეს გუნდები, რომლებიც რეგულარულად ითამაშებენ ერთმანეთში, გამართავენ შეჯიბრებებს.

სათამაშო მინდვრის მოწყობა არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს. საჭიროა გამოიძებნოს ვაკე, ჩრდილიანი ადგილი, რომელიც საკუთარი ძალებით უნდა მოსწორდეს, გაიწმინდოს ეკალბარდისაგან. ასეთი ადგილი საკმარისია სიგრძით იყოს 30-50, ხოლო სიგანით — 15-30 მეტრი. მოედნის დახაზვისას საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ კარის სიგანე „მცირე ფეხბურთში“ შეადგენს 4 მეტრს, ხოლო სიმაღლე — 2,2 მეტრს. პენალტის წერტილი კარის ხაზიდან დაშორებულია 7 მეტრით. ბურთი ნებისმიერია.

თვითეული გუნდი შედგება 7 მოთამაშისაგან (მეკარე, ორი მცველი, ერთი ნახევარმცველი, სამი თავდამსხმელი), მაგრამ ეს ციფრი სავარაუდოა, ვინაიდან თუ მინდორი ძალზე პატარა იქნა, გუნდების შემადგენლობაში შეიძლება იყოს 4-5 მოთამაშეც.

გუნდებმა ფორმა ისე უნდა შეარჩიონ, რომ მათი ფერი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს. ტაიმების ხანგრძლიობა დაახლოებით 30-40 წუთია. მონაწილეთა ასაკი ასე უნდა განისაზღვროს: 13-15 წელი, 15-17 წელი, 18 წელი და ზევით. თამაშის წესებში შეიძლება გარკვეული ცვლილებების შეტანა (მაგალითად, კუთხური ბურთის მოწოდება ისევე, როგორც აუტისა და სხვ.).

საქართველოს პროფკავშირების ფიზკულტურისა და სპორტის სექტორი (გრიბოედოვის ქ. № 19, ოთახი 43) აწარმოებს კონსულტაციებს „მცირე ფეხბურთის“ მოყვარულთათვის. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ აქ მიიღონ სათანადო რჩევა-დარიგება.

**გ. ჩხიკვაძე,**
**ვეტერანი ფეხბურთელი.**



# მოზარდთა ასპარეზობა

□

**ლენინგრადის საგზური მოპოვებულია**

□

სამ დღეს გრძელდებოდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა მოზარდ ტანმოვარჯიშეთა შორის. თბილისს ეწვივნენ ხარკოვის, ბაქოს, ვოლგოგრადის, სარატოვის და სხვა ქალაქების ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები. შეჯიბრების საზეიმო გახსნის შემდეგ გაიმართა საინტერესო ასპარეზობა.

ასპარეზობა დაიწყეს გოგონებმა. სპორტის ოსტატობის პროგრამით პირველივე იარაღიდან ლიდერობა ხელთ იგდო თბილისელმა ზოია იასკომ, რომელმაც კარგი შედეგით — 74,45 ქულით გამარჯვება მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისელი ციალა ნოზაძე, მესამეზე—ხარკოველი მარიამ ტარასენკო.

ოსტატობის კანდიდატებს შორის პირველი და მეორე ადგილები დაისაკუთრეს ხარკოველებმა ლ. იონიჩევამ და ვ. ლიტვინოვამ. მესამე ადგილი წილად ხვდა ვ. სიზინცევას (ნოვოსიბირსკი). მოზრდილთა პირველი და მეორე თანრიგის პროგრამით ყველას აჯობეს თბილისელებმა ვ. ზოლოტუშჩენკომ და ნ. კოლომიცევამ.

უნდა აღინიშნოს თბილისელების ც. ნოზაძის და ზ. იასკოს სხვა წარმატებაც—ორივემ შეასრულა სპორტის ოსტატის საკლასიფიკაციო ნორმატივი.

ვაჟებში სხვებზე ადრე დაამთავრეს შეჯიბრება მოზარდთა პირველი თანრიგის ტანმოვარჯიშეებმა, რომელთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ბაქოელი ფ. მანსუროვი.

მოზრდილთა მეორე თანრიგში თავი ისახელეს თბილისელმა ტანმოვარჯიშეებმა. მათ დაისაკუთრეს სამი საპრიზო ადგილი (შესაბამისად: ამირან გნოლიძე, ანზორ მიქელაძე და დავით მაისურაძე). კონკურენციის გარეშე აღმოჩნდნენ თბილისელები პირველთანრიგოსნებშიც. პირადი პირველობისათვის ბრძოლა მათ შორის გაიმართა. გაიმარჯვა გ. გასპარიანმა (109,5 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდა ანზორ იმნაძე, მესამეზე ომარ ნიკულავა.

გუნდური პირველობა როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა გუნდებს შორის დაისაკუთრა თბილისის „ბურევესტნიკის“ მოზარდ ტანმოვარჯიშეთა ძლიერმა კოლექტივმა. მეორე ადგილის მოსაპოვებლად დაძაბული ბრძოლა გაიმართა ხარკოველ და ბაქოელ ტანმოვარჯიშეთა შორის. როდესაც დამთავრდა გოგონების შეჯიბრება, ერთი ქულის უპირატესობით წინ იყვნენ ბაქოელები. ხარკოვის ვაჟთა გუნდმა მოიგო კიდევ სამი ქულა, რამაც გადაწყვიტა კიდეც ეს სპორტულად საინტერესო „კამათი“.

ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკის“ ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიიღონ „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს სახელით საბჭოთა კავშირის პროფკავშირების პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც გაიმართება აგვისტოს, ლენინგრადში.

**ო. ქორქია,**
**სპორტის ოსტატი**

• • •



**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ოსტატ გოგონათა შორის გამარჯვებული ზ. იასკო (თბილისი) და პირველთანრიგოსან ჭაბუკთა ასპარეზობაში უძლიერესი გ. გასპარიანი ასრულებენ თავისუფალ ვარჯიშს.

ფოტო ი. იუნაევისა.

# ლ. პორტიში — გამარჯვებული

## გამოვლინდა მერვე პრეტენდენტი

ის იყო მთავრდებოდა სოხუმში ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, როცა ამსტერდამში საზონათშორისომ „აიდგა ფეხი“.

— ამსტერდამის ტურნირი დაჩრდილავს ჩემს მარცხს. მას უკვე არავინ მიაქცევს ყურადღებას, — მითხრა ფინიშზე წარუმატებლობით შეწუხებულმა გამოჩენილმა იუგოსლაველმა ოსტატმა ვ. ნედელკოვიჩმა.

დავიწყეთ საუბარი პრეტენდენტებში გასვლის კანდიდატებზე. დამამახსოვრდა იუგოსლაველი სტუმრის სიტყვები: — ჩვენს და საერთოდ დასავლეთის ჭადრაკის სპეციალისტებს საბჭოთა მოჭადრაკეების შემდეგ პრეტენდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატებად მიაჩნიათ გლიგორიჩი, რეშევსკი და პორტიში.

— რატომ პორტიში?

— გაზაფხულზე ბელგრადში მან მეტად დამაჯერებლად მოუგო გლიგორიჩს ორი პარტია, იუგოსლავია — უნგრეთის მოჭადრაკეთა ამხანაგურ მატჩში. ჩემი მეუღლე (იუგოსლავიის ნაკრები გუნდის კაპიტანი, საერთაშორისო ოსტატი ს. ნედელკოვიჩი) პორტიშს დიდი მომავლის მქონე დიდოსტატად თვლის. ლაიოში ხომ 27 წლისაა და აქტივში უკვე საკმაოდ ბევრი საგულისხმო გამარჯვება აქვს.

და აი, ამ დიდ წარმატებებს უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონმა ლაიოშ პორტიშმა კიდევ ერთი შემატა. ამსტერდამში მან მატჩი მოუგო ამერიკელ დიდოსტატ ს. რეშევსკის — 2,5:0,5 და პრეტენდენტთა მატჩების მერვე მონაწილედ მოგვევლინა. მეოთხედფინალში იგი შეხვდება დიდოსტატ მ. ტალს.

ს. რეშევსკის კვლავ გაუცრუვდა იმედები და ალბათ, საბოლოოდ.

**თ. გიორგაძე**

# ტრასა მთებში



**ცხენოსნობა,** ფარიკაობა, სროლა... სპორტის სამი სახეობა. სამი ეტაპი გავლილია რესპუბლიკის პირადი პირველობის გათამაშებაზე თანამედროვე ხუთჭიდში. მეოთხე სახეობა — ცურვა გათამაშდა ფიზკულტურელთა პარკის საცურაო აუზში. 300-მეტრიანი დისტანციის 4 წუთში გაცურვისათვის მოასპარეზეს ეწერებოდა 1000 ქულა.

ექსპერიმენტისა და დროის მოგების თვალსაზრისით მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ჩემპიონატზე, შეჯიბრების 2 სახეობა— პისტოლეტიდან სროლა და ცურვა—გათამაშდა ერთ დღეს. ამჯერად ექსპერიმენტი ძირითადში არ გამართლდა. ძნელი და ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებული სპორტის სახეობები შედის თანამედროვე ხუთჭიდში და ამიტომაც, რასაკვირველია, 5-6 საათი არ არის საკმარისი, რომ სპორტსმენი გამოეთიშოს ერთ შეჯიბრებას და განეწყოს მეორისათვის.

დღის საუკეთესო შედეგი ნაჩვენები იქნა მხოლოდ უკანასკნელ გაცურვებში, სადაც სტარტს იღებდა შეჯიბრების ლიდერი ა. კრავჩენკო. მან დისტანციის გაცურვას მოანდომა 4.01,2 წუთი და 995 ჩასათვლელი ქულა მიიღო. მას 8,2 წამით ჩამორჩა მეორე ადგილზე გამოსული ვ. ანანოვი. ფინიშთან მესამე იყო ი. მურომცევი—4.26,1.

მოზარდებს შორის პირველობდა ა. შეროზია 4.13,1 — 935 ქულა. შეჯიბრების დასკვნით დღეს მძლეოსნური კროსი 4000 მეტრზე გადაჭიმული იყო ლისის ტბის მიდამოებში. მთებში გამავალი ტრასა, რთული იყო, რამაც სპორტსმენთა შედეგებზე უარყოფითად იმოქმედა. საკმარისია ითქვას, რომ 1000-ქულიანი ზღვარის გადალახვა ვერ შეძლო ვერც ერთმა მონაწილემ.

მძლეოსნურ კროსში პირველი სამი ადგილი დაიკავეს: ი. მურომცევმა—988 ქულა, ა. კრავჩენკომ—919, ვ. ანანოვმა—776 ქულა.

მოზარდებში თავი ისახელა ა. მაროტიმ—920 ქულა.

ამრიგად, 5-დღიანი სპორტულად საინტერესო ბრძოლის შედეგად საქართველოს ჩემპიონის წოდება საკმაოდ მაღალი შედეგით—4759 ქულით მოიპოვა სპორტის ოსტატმა ა. კრავჩენკომ, მეორე ადგილი—(4673 ქულით) ი. მურომცევმა, მესამე ვ. ანანოვმა—4011 ქულა.

ჭაბუკთა შორის ჩემპიონი გახდა ა. მაროტი—4510 ქულა, რომელმაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

**გ. კალმახელიძე,**
**სპორტის ოსტატი, შეჯიბრების მსაჯი.**

**ა. მამულაშვილი**

**ს უ რ ა თ ზ ე:** საფარიკაო ბილიკზე ა. კრავჩენკო და ი. მურომცევი იბრძვიან.

„ტურ დე ფრანსის“ მონაწილეებმა უკვე 8 ეტაპი განვლეს. ლიდერთა რიგებში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. რბოლის ფავორიტები კვლავინდებურად „ჩრდილში“ იმყოფებიან.

VIII ეტაპის (ტონონ-ბრიანონი) სიგრძე 248 კილომეტრი იყო.ველოსიპედისტებმა ორი ალპური უღელტეხილი განვლეს („ტელეგრაფი“ — 1570 მ და „გალიბიე“ — 2556 მ). ეტაპი მოიგო 36 წლის ესპანელმა ფ. ბაამონტესმა. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სამართლიანად ითვლება მსოფლიოში უძლიერეს „კლდეზე მცოცავად“. დაახლოებით წუთნახევრის შემდეგ გადაკვეთა ფინიშის ხაზი ფრანგმა რ. პულიდორმა. გამარჯვებულს 9 წუთით ჩამორჩა რბოლის მთავარი ფავორიტი ჟ. ანკეტილი.

წარუმატებლად გამოვიდა ამ ეტაპზე ლიდერი რ. ალტიგი (გფრ), ლიდერის ყვითელი მაისური ხელთ იგდო ფრანგმა ჟ. გრუსარმა.

ს უ რ ა თ ზ ე: „ტურ დე ფრანსის“ მონაწილენი ტრასაზე.





# დიდი ასე ფიქრობს

ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი დიდი ამზადებს თავისი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებს ტოკიოს ტურნირისათვის. ამ დღეებში იგი შეეხო არგენტინელებისა და ბრაზილიელთა შესაძლებლობებს ფინალში. როგორც ცნობილია, აქამდე სამხრეთამერიკელი ოლიმპიელები ვერავითარ კონკურენციას ვერ უწევდნენ ევროპელებს და მიმომხილველები ახლაც მათს დამარცხებას მოელიან ფინალში.

დიდი არ ეთანხმება ამ შეხედულებას. მან მაღალი შეფასება მისცა არგენტინელებს, ხოლო რაც შეეხება ბრაზილიელებს, მისი აზრით არც ისინი უნდა გამოვიდნენ ცუდად ტოკიოში.

□

# თამაშები რომ არა

იაპონიის კიოდი ცუსინის ტელეგრაფის სააგენტო იუწყება, რომ ტოკიოში ოლიმპიური თამაშებისათვის მზადება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. სააგენტო იმოწმებს საორგანიზაციო კომიტეტის ცნობას, რომ ოლიმპიურ სტადიონზე სამუშაოები 99 პროცენტითაა შესრულებული. თუკი 1957 წელს ეს ნაგებობა 50 ათას კაცს იტევდა, ახლა აქ შეიძლება თავისუფლად მოთავსდეს 85 ათასი სპორტის მოყვარული. 31 აგვისტოს სტადიონზე „ჩაარჭობენ უკანასკნელ ლურსმანს“.

საორგანიზაციო კომიტეტისათვის დიდი პრობლემა იყო დედაქალაქის ქუჩების გადაკეთება. თამაშების დაწყებამდე განახლდება, გაფართოვდება და აიგება ბევრი ქუჩა. „ოლიმპიური თამაშები რომ არა, — წერს იაპონური პრესა, — ვინ იცის, იაპონიის მუნიციპალიტეტს როდის ექნებოდა სახსრები ასეთი გრანდიოზული მშენებლობისათვის.

□

# კიდევ ერთი გაფრთხილება რასისტებს

როგორც უკვე ცნობილია, ლოზანაში გამართულმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომამ ტოკიოს თამაშებზე გამოსვლის უფლება მისცა ინდონეზიის სპორტსმენებს. ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონაწილეობას ტოკიოს ოლიმპიადაზე. საქმე იმაშია, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კვლავ გრძელდება ფერადკანიან სპორტსმენთა დისკრიმინაცია.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ რესპუბლიკის რასისტებს წინადადება მისცა თუ ისინი 50 დღის განმავლობაში ოფიციალურ ცნობას არ წარმოადგენენ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დამთავრებულია ფერადკანიან სპორტსმენთა დისკრიმინაცია და ოლიმპიადაზე გამოვა ორივე რასის სპორტსმენები, მაშინ რესპუბლიკა დაშვებული არ იქნება XVIII თამაშებზე.

# კრისტინ კარონი ბრძოლისათვის მზადაა

ამას წინათ პარიზში 16 წლის ფრანგმა სპორტსმენმა გოგონამ კრისტინ კარონმა 100 მეტრი ზურგზე ცურვაში აჩვენა 1.08,1 და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. მანამდე ცურვის ამ სახეობაში უმაღლესი მიღწევა ეკუთვნოდა ამერიკელ დ. დე ვერონას და უდრიდა 1.08,9. აშშ-ს პრესა ირწმუნებოდა, რომ დე ვერონას „არ ეყოლებოდა შესაფერისი მეტოქე ტოკიოში“. მაგრამ ეს წინასწარმეტყველება გაბათილდა. მსოფლიოს ახალმა რეკორდსმენმა კრისტინ კარონმა განაცხადა, რომ მისი აზრით ევროპელ მოცურავეებს თავისუფლად შეუძლიათ დაარღვიონ ამერიკის ჰეგემონია ცურვაში. მან დაუმატა, რომ ამერიკელთა ბევრი მიღწევა, რომლებიც წინათ მიუწვდომელი იყო, ამჟამად გაუმჯობესებულია.

თავისი რეკორდის შესახებ კარონმა თქვა: „ვიცი, რომ ტოკიოში ოლიმპიურ საცურაო ბილიკზე მე ცხარე ბრძოლა მომიწევს დ. დე ვერონასთან. წინათ უპირატესობა ამერიკელის მხარეზე იყო, ამჟამად კი მსოფლიო რეკორდი მე მეკუთვნის. ჩემი შედეგით აშშ-ს ვუცხადებ ომს — მშვიდობიან ომს ოლიმპიურ აუზში“.



# კრონპრინცი — ფავორიტი

ნორვეგიელი სპორტსმენები ყოველთვის გამოირჩეოდნენ საიალქნო სპორტში, წარმატებით გამოდიოდნენ ოლიმპიურ თამაშებში. ამჟამადაც ნორვეგიელი მეიალქნეები ჩავლენ იაპონიაში, რომ იბრძოლონ ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლებისათვის. იმისათვის, რომ შეედგინათ ოლიმპიური გუნდი, ნორვეგიაში ჩატარდა წინასაოლიმპიადო შესარჩევი შეჯიბრება. „5,5“ კლასის იალქნიან ნავებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ნორვეგიის კრონპრინცმა ჰარალდმა. მისმა სწრაფმა ნავმა „ფრან III“ საგრძნობლად გაუსწრო მეტოქეებს.

ნორვეგიული პრესა აღნიშნავს, რომ კრონპრინცი ამჟამად ჩინებულ ფორმაშია და ტოკიოს შეჯიბრებების ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. საერთოდ, ჰარალდს საშუალება ეძლევა თავის სამემკვიდრო ტიტულს მიუმატოს ოლიმპიური ჩემპიონის სახელიც.

# მარტოხელა ოლიმპიელი

„მონაკოს უნდა მონაწილეობა მიიღოს ტოკიოს ოლიმპიადის ძალოსანთა ტურნირში. იაპონიის დედაქალაქში ჩამოვა ერთი სპორტსმენი და სპორტის 10 მოღვაწე“, — ასეთი ცნობა დაიბეჭდა ამას წინათ გერმანულ გაზეთში „დეიჩეს შპორტ-ეხო“. რა არის ეს, ხუმრობა? არა! მონაკოში კარგადაა ცნობილი სპორტსმენი ბატაგლიას გვარით. მან თავისი ცხოვრება მიუძღვნა ძალოსნურ სპორტს. მონაკოში არ იყო სავარჯიშო დარბაზი ძალოსნობის მოყვარულთათვის. ბატაგლიას საშუალება არ ქონდა ევარჯიშა ან შეხვედროდა თანამემამულე ძალოსნებს. მას დაეხმარა ერთი ამბავი: სპორტსმენი ცხოვრობდა საფრანგეთის საზღვრის მახლობლად.

და აი, ბატაგლია გახდა საფრანგეთის ძალოსნური კლუბის წევრი. იგი ხშირად გამოდიოდა შეჯიბრებებში, იცავდა თავისი კლუბის სპორტულ სახელს. წინათ ეს ამბავი არც თუ ისე აწუხებდა მონაკოს ხელისუფლებს. მაგრამ მოახლოვდა ტოკიოს ოლიმპიური თამაშები. ამ „სახელმწიფომ“ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო მსოფლიოს სპორტსმენთა დიდ ფორუმში და იქ მიევლინებინა თავისი ქვეყნის სპორტული დელეგაცია 1 სპორტსმენისა და 10 ხელმძღვანელი მუშაკის შემადგენლობით. ეს გადაწყვეტილება ცხოვრებაში რომ გაეტარებინათ, საჭირო იყო „მონაკოს ძალოსნური კავშირის, მისი გამგეობის შექმნა“. რაც შეეხება კავშირის წევრებს, აქ მხოლოდ ერთადერთი ბატაგლია იყო. რასაკვირველია, მან იოლად მოიგო „ეროვნული წინასაოლიმპიადო შესარჩევი შეჯიბრება“ და ამჟამად ემზადება ტოკიოში გასამგზავრებლად. მასთან ერთად იაპონიის დედაქალაქში წავა კლუბის გამგეობის 10 წევრი.

# „განთავისუფლების ტურნირი“ ბელგრადში

იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაცია ემზადება დიდი საერთაშორისო ტურნირისათვის, რომელიც მიეძღვნება გერმანელი ფაშისტებისგან ბელგრადის განთავისუფლების 20 წლისთავს. მასში მონაწილეობას მიიღებს 14 დიდოსტატი, 2 საერთაშორისო ოსტატი და 2 ოსტატი.

შეჯიბრებაში მიწვეულნი არიან: საბჭოთა კავშირიდან—მსოფლიო ჩემპიონი პეტროსიანი, მსოფლიო ექს-ჩემპიონები ბოტვინიკი და ტალი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან — ფიშერი (მისი უარის შემთხვევაში ითამაშებს ჩეხოსლოვაკელი პახმანი), უნგრეთიდან — საბო, ბულგარეთიდან — ტრინგოვი, ჰოლანდიიდან — დონერი, დანიიდან — ლარსენი, იუგოსლაველი დიდოსტატები გლიგორიჩი, ივკოვი, ტრიფუნოვიჩი, მატანოვიჩი, პარმა, უდოვჩიჩი, ოსტატები მატულოვიჩი, მილიჩი, იანოშევიჩი და ოსტოიჩი.

# რევანშის მანია

5 ივლისს სტოკჰოლმში, „სოლნას“ სტადიონზე, რომელიც 45 ათას მაყურებელს იტევს, გაიმართება მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ფლოიდ პატერსონი და ედი მაჩენსი (ორივენი — ამერიკიდან). ამ მატჩით პატერსონი ფიქრობს კლეისთან შეხვედრისათვის გზა გაიკვლიოს, რომელიც თავის მხრივ ლისტონ-პატერსონის მატჩის ხიდი იქნება. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი რევანშის მანიითაა შეპყრობილი.

29 წლის პატერსონი მძიმე წონის ერთადერთი მოკრივეა, რომელმაც ორჯერ დაკარგა და დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. პროფესიულ რინგზე მას 42 ბრძოლა აქვს ჩატარებული. აქედან 38 მოიგო და მხოლოდ ოთხში დამარცხდა. მისი მომავალი მეტოქე — ედი მაჩენსი 31 წლისაა. 52 ოფიციალური შეხვედრიდან 46 თავის სასარგებლოდ აქვს დამთავრებული. მაჩენსი მხოლოდ ოთხ შეხვედრაში დამარცხდა. ორი ბრძოლა კი ფრედ დაამთავრა.




▲ **პრაღა.** მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებას ე. როშჩიცკის სახელობის თასზე ძალზე ცუდი ამინდი დაესწრო. ამიტომ პროგრამის მთელი რიგი სახეობები გადატანილ იქნა ორ ქალაქში — სტარა ბოლესლავსა და კუტნა-გორაში.

მოგვყავს ტექნიკური შედეგები: 200 მ. რბენა — ჲ. ზუბოვი (სსრკ) — 20,9, 100 მ. რბენა (ქალები) უ. ვისლანდერი (შვეცია) — 11,8. ასეთივე შედეგი აქვს ვ. კრეპკინას (სსრკ), რომელიც მეორე ადგილზე გამოვიდა. ჭოკი — მ. პრეისგერი (გდრ) — 4,91 მ.

▲ **ბ ე რ ლ ი ნ ი.** „ოლიმპიურმა დღემ“ საბჭოთა მძლეოსნებს რამდენიმე გამარჯვება მოუტანა. ტ. ბაბინცევამ 800 მეტრზე რბენაში 2.05,8 აჩვენა. ლ. ლისენკო-გურევიჩი ფინიშთან მეოთხე იყო შედეგით — 2.07,7. სიგრძეზე ხტომაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ლ. ბარკოვსკიმ — 7,63 მ. 80 მეტრზე თარჯრბენში კ. ბალტერის დროა — 10,7, ხოლო ნ. კულკოვასი — 10,8.

▲ **ბრანსუიკი** (ნიუ-ჯერსის შტატი). ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა პირველობაზე ნაჩვენები იქნა ასეთი შედეგები:

**100 მ. რ. ჰეიესი—10,3, 10.000 მ. პ. მაკ-არდელი — 30.11,0, თარჯრბენი 110 მ. ჰ. ჯონსი — 13,8, სიგრძე რ. ბოსტონი — 8 მ. 11,5 სმ. ჭოკი ფ. ჰანზენი — 5 მ. 18 სმ. შუბი ფ. კოველი—77 მ. 29 სმ. 200 მ. გ. კარი— 20,6, 5.000 მ. რ. შიული — 13.56,2. სიმაღლე ე. კარაზერსი 2 მ. 16 სმ. სამხტომი კ. მუსიადესი — 16 მ. 18 სმ.**

▲ **უ ო ლ ნ ა ტ ი** (კალიფორნიის შტატი). აქ გაიმართა აშშ-ის პირველობა მძლეოსნურ ათჭიდში. პირველი ადგილი დაიკავა იან ჩუან კუანმა—8.641 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: პ. ჰერმანი — 7.794 ქულა, დ. ჯეიზი — 7.768 ქულა, რ. ხოჯი — 7.729 ქულა.

▲ **ჰააგა.** ჰოლანდიის მოცურავეთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ რ. ვილტი, ე. ტერპსტრა, ი. ტილეგრი, ვ. ვან ვეერდენბერგი, ნებისმიერი სტილით ამანათცურვაში 4×100 მეტრზე დაამყარა კონტინენტის ახალი რეკორდი — 4.12.3.

▲ **მადრიდი.** პოპულარულმა ესპანელმა ფეხბურთელმა ა. დი სტეფანომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ სამუდამოდ წყვეტს კავშირს „რეალთან“, რომლის შემადგენლობაში 11 წლის განმავლობაში გამოდიოდა.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.



ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 08261